აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში

(28.11.2016 – 31.08.2017)

2017 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ცოტნე ანანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ილია ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“

კომისიის წევრები:
ვლადიმერ მგალობლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება“
ნუგზარ სურმანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
ელგუჯა ბაგრატიონი - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
პეტრე ზამბახიძე - უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

კომისიის აპარატი
ბაკურ ბოლქვაძე - აპარატის უფროსი
თამარ წილოსანი - კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე
ეკატერინე ბერიძე - უფროსი სპეციალისტი
ირაკლი აბაშიძე - უფროსი სპეციალისტი
თამაზ ქობულაძე - უმცროსი სპეციალისტი

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია იცავს ყველა ადამიანის უფლებებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, კომისიის დებულებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

კომისიის მიერ ადამიანის უფლებების დაცვა ხორციელდება საკანონმდებლო საქმიანობით, მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამების მონიტორინგით, მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრების/მომართვიანობაზე სათანადო რეაგირებით, ყველა იმ უფლების დასაცავად ან შელახული უფლების აღსადგენად და აღმოსაფხვრელად, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოიწვია 14 სხდომა, განიხილა 6 კანონის პროექტი, 2 დადგენილების პროექტი, მოსმენილ და ცნობად იქნა მიღებულ აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის I და II კვარტლის შესრულების ანგარიშები, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის ანგარიში და აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაცია - აჭარის ა.რ. სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე კომისიამ მოამზადა 15 დასკვნა.

კომისიას წარმოებაში მიღებული აქვს 334 კორესპონდენცია, ხოლო გასული - 228

შემოსული

მოქალაქეები	
დასაქმება	7
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	13
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	6
სოციალური პირობები	6
კანონიერი უფლებების დაცვა	7
შუამდგომლობა შეწყალებაზე და პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე	15
შუამდგომლობა ორმაგი მოქალაქ. მიღებაზე	1
სხვა	2
სულ -	*57*
მოქალაქე მსჯავრდებულები/ბრალდებულები	
შესაძლო არასათანადო მოპყრობა	10
შესაძლო არასათანადო სამედიცინო მომსახურება	38
შუამდგომლობის თხოვნა ეტაპირებაზე	2
შუამდგომლობა პირობით გათავისუფლებაზე	1
შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე	1
თხოვნა პირადად შეხვედრაზე	7
ბრალდ. თხოვნა ფინანსურ დახმარებაზე	1
სხვა	20
სულ -	*80*
უწყებები და ორგანიზაციები	
სასჯელაღსრ. და პრობაციის სამინისტრო	43
პროკურატურა	6
პენიტენციური დაწესებულება	1
აღსრულების ეროვნული ბიურო	1
საქართველოს პარლამენტი	12
აჭარის ა.რ. მთავრობა	1
აჭარის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო	2
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5
სოციალური მომსახურების სააგენტო	1
აჭარის დასაქმების სააგენტო	3
სსიპ აჭარის ტელევიზია და რადიო	2
სახელმწიფო რწმუნებული გურიაში	1
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	1
სს საქ. სახელმწიფო ელექტროსისტემა	2
თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	2
იურიდიული დახმარების ბიურო	1
დასაქმების სააგენტო	1
აჭარის მუნიციპალიტეტები	6
სხვა	3
სულ -	*96*
შიდა კორესპონდენცია	*101*
შემოსული კორესპოდენციის საერთო ჯამი	**334**

გასული

პასუხი მოქალაქეებს	67
პასუხი მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს	57
სასჯელ. და პრობაციის სამინისტროს	28
პროკურატურას	8
პენიტენციურ დაწესებულებას	7
აჭარის პრობაციის ბიუროს	3
საქართველოს პრეზიდენტს	8
ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას	9
აჭარის ა.რ. მთავრობას	1
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს	3
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს	1
სოციალური მომსახურების სააგენტოს	1
ბათუმის ბაღების გაერთიანებას	2
საავტომობილო გზების დეპარტამენტს	1
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას	3
ხელვაჩაურის მუნიციპ. გამგეობას	1
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას	1
აჭარის ჯანმრთელობის და სოც. დაცვის სამინისტროს	3
აჭარის დასაქმების სააგენტოს	6
სს საქ. სახელმწიფო ელექტროსისტემას	2
სახელმწიფო რწმუნებულს გურიაში	1
ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს	1
თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს	2
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს	2
ბათუმის სამშობიარო სახლს	1
სსიპ აჭარის ტელევიზია და რადიოს	3
სხვა	6
გასული კორესპოდენციის სერთო ჯამი -	**228**

კომისიაში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში მოუსმინეს 139 მოქალაქეს - ცოტნე ანანიძემ - 79 მოქალაქეს, კომისიის აპარატმა - 60 მოქალაქეს;

კომისიაში მომზადებულია 3 საკანონმდებლო ინიციატივა: „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭოს წევრს მიეცემა სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში; „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც კანონს დაემატება ნორმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანით დამთავრებული (შეწყვეტილი) საარბიტრაჟო საქმის წარმოების განახლებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც სააპელაციო სასამართლო უარს ამბობს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილების შესახებ, რომელიც ეხება 293-ე მუხლს. ინიციატივის მიხედვით, აღნიშნულ მუხლს ემატება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც რეგისტრირებული იპოთეკის უფლება არ გავრცელდება ლეგალიზების შედეგად მიღებულ მთლიან ფართზე მინაშენის (ჩათვლით).

აღნიშნული ინიციატივები არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაცნობისა და პარლამენტის დარგობრივ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, საკანონმდებლო ინიაციატივის წესით დარეგისტრირდება უმაღლეს საბჭოში.

კომისია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ასპექტზე, პრობლემატიკაზე აწარმოებს დიალოგს და კამპანიას, გეგმავს და მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში.

1. 2016 წლის 16 დეკემბერს, კომისიის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე - მთავრობის შემადგენლობის განხილვის შესახებ, წამოაყენა წინადადება, რომ ბათუმის #3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართათვის, რომელთა გახშირებული მომართვიანობა არასათანადო სამედიცინო მომსახურებას ეხება, ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მხრიდან, პერიოდულად დამხმარე სამედიცინო პერსონალთა, მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა ვიზიტების უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულ წინადადებაზე სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას, რომ შესაძლებელია ცენტრალურ სამინისტროსთან შეთანხმებით, კოორდინირებული ღონისძიებების გატარება სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.
აღნიშნულ ინიციატივაზე მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამის სამინისტროებთან.

2. 2017 წლის 16 იანვარს, კომისიის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ამერიკული კუთხის მოწვევით, მონაწილეობა მიიღო რელიგიის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით გამართულ ღია დისკუსიაში - „რელიგიის თავისუფლება“, რომელიც საქართველოში ა.შ.შ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. დისკუსიისას, რომელშიც მონაწილეობდნენ იეზიტთა თემის, მუსლიმთა კავშირის წევრები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები, იმსჯელეს სახელმწიფოში რელიგიური თავისუფლების მნიშვნელობაზე და რელიგიურ ნიადაგზე გამოწვეული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესაძლო გზებზე.

შეხვედრაზე ცოტნე ანანიძემ განაცხადა, რომ ძირითადად პრობლემები, რაც პრაქტიკაში გვხვდება სხვადასხვა კონფესიის მრევლს შორის ურთიერთობისას, რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებაა. მანვე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიცია არის მყარი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება და თემის ლიდერები, ყველანი ერთად, საზოგადოების წინაშე გამოვიდეს ერთსულოვანი პოზიციით ადამიანის უფლებებისა და

ტოლერანტობის დაცვით - ძალადობის, სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის დაგმობით. „სწორედ ყველა მხარის აქტიური ჩართულობა, გაცნობიერებული პასუხისმგებლობით, განაპირობებს შეიქმნას და ვიცხოვროთ რელიგიურად თავისუფალ, სეკულარულ და პლურალისტულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში“ - დასძინა მან.

3. 2017 წლის 4 თებერვალს კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსთან ციალა ქათამიძესთან ერთად მონიტორინგის მიზნით, დაესწრო ბათუმის ბულვარში წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციაზე დაუმორჩილებლობის ბრალდებით დაკავებული შვიდი ახალგაზრდის სასამართლო პროცესს, რომელთა შორის ერთი არასრულწლოვანი იყო. არასრულწლოვნის მამა მიუთითებდა პოლიციელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, რამაც მიიპყრო კომისიის ყურადღება. თუმცა მოგვიანებით გამოძიებისა და სამართალდამცავების მიმართ კითხვები აღარ გააჩნდა. სასამართლომ მხოლოდ პოლიციის წინააღმდეგობის გაწევის ნაწილში ცნო დაკავებულები დამრღვევად, რომელთაც ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრა, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა და ყველა მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

კომისიისთვის ამ საქმეში ნიშანდობრივი იყო არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სამართალწარმოებისა და სასამართლო გადაწყვეტილების პრაქტიკა.

4. 5 თებერვალს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე იმყოფებოდა შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოსთან ოპოზიციური პარტიის წევრების უმაღლესი საბჭოს წევრის ელგუჯა ბაგრატიონისა და ქობულეთის საკრებულოს წევრის ბონდო თედორაძის, პოლიციაზე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაკავების ფაქტთან დაკავშირებით. შსს-ს ინფორმაციით მათ ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო გზის გადაკეტვა სცადეს, სადაც ციხისძირიდან ხეების გადატანის გამო მოძრაობა შეფერხებული იყო. სიტუაციის ადგილზე გარკვევისას ცოტნე ანანიძემ გამორიცხა მათი პოლიტიკური ნიშნით დაკავება. აქვე დასძინა, რომ ვალდებულია იყოს იქ, სადაც საუბარია სამართალდარღვევასა და ადამიანის უფლებებზე.

13 თებერვალს სასამართლოს გადაწყვეტილებით უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ ადამინისტრაციული წესით სამართლებრივი დევნა შეწყდა, ხოლო საკრებულოს წევრის ქმედება სამართალდარღვევად შეფასდა, რაზედაც სასამართლო სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.

5. 28 თებერვალს, კომისიამ მონაწილეობა მიიღო გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით „ბავშთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ამოქმედება აჭარაში“ - პროექტის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, გამართულ ღონისძიებაში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილებით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პასუხისმგებლობა რეფერალში ჩართულ სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ადგილობრივ თვითმმართველობებსაც დაეკისრათ.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს აჭარის მუნიციპალიტეტებში რეფერირების მექანიზმის ამოქმედების საკითხი, სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის დახმარებით, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას მერის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის, მერიის შესაბამისი სამსახურისა და სოციალური სააგენტოს სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული ადამიანთა ჯგუფი, რომელიც განახორციელებს ბავშვთა რეფერირების პროცესს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

ღონისძიებაზე ადამიანის უფლებათა კომისიამ მუნიციპალიტეტებს შესთავაზა, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა, სამართლებრივად რთულად გადასაწყვეტი საკითხების მოგვარების პროცესში. კომისიის ეს ინიციატივა დროულად და საჭიროდ მიიჩნიეს ღონისძიების ორგანიზატორებმა და

აღნიშნეს, რომ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ჩართულობა ამ პროცესში მნიშვნელოვნად დაეხმარება ადგილობრივ დონეზე ბავშვთა რეფერირების პროცედურების ეფექტურად წარმართვას.
აღნიშნულ ღონისძიებაზე, რომელშიც მონაწილეობდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ლაილა ომარ განდი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლები, ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის სიტუაციური ანალიზი, უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები და უნისეფის კვლევა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი გარემოება დამაფიქრებელია იმ თვალსაზრისით, რომ რეფერირების მექანიზმში ჩართული პირები კარგად არ იცნობენ საკუთარ ვალდებულებებს. მაგ. სკოლებში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების და მანდატურების) 46%- მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალადობა მძიმე ფორმისაა და არაერთგზის, ასევე ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლები, მანდატურები და სოციალური მუშაკები) 60%-ი ფიქრობს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ. კომისია აღნიშნულ პროფესიონალთა ცნობიერების დონის ამაღლების კუთხით გეგმავს ღონისძიებების გატარებას.

6. 11 მარტს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან და წევრებთან - ირაკლი ჭეიშვილთან და დავით ბაციკაძესთან ერთად სიტუაციის ადგილზე გასაცნობად, შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოსთან გამართულ საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე მივიდა.

პროტესტის მიზეზი 11 მარტს საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ მოქალაქის დაჯარიმება გახდა, რომელიც შემდეგ რამდენიმე პირთან ერთად დააკავეს პოლიციაზე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ დაკავებულების გათავისუფლებას, აპელირებდნენ უსაფუძვლო ჯარიმების გამოწერაზე, რომელიც მათ მძიმე ეკონომიკურ ტვირთად დააწვათ. ძირითადად, შეკრებილთა შორის იყვნენ ადგილობრივი მძღოლები. აქციაზე, ასევე გაისმოდა ბრალდებები პოლიციის უფროსის მისამართით, რომელსაც რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ გამონათქვამებში ადანაშაულებდნენ, თუმცა ამ დრომდე შეუძლებელია ამ ბრალდების დადასტურება.

კომისია მონიტორინგს უწევდა როგორც აქციის პროცესს, ასევე მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ფაქტზე სიმართლის დადგენისათვის გამოძიებისა და სასამართლო პროცესებს, სხვადასხვა ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების, სუბიექტების, დაინტერესებული პირების, საზოგადოების შეფასებებს. ასევე კომისიის თავმჯდომარე დაესწრო რამდენიმე სასამართლო პროცესს.

ყველა ადამიანს აქვს სიტყვისა და გამოხატვის, მანიფესტაციისა და შეკრების თავისუფლება, თუმცა ეს უკანასკნელი არ უნდა გასცდეს მშვიდობიანი აქციის ფარგლებს. სამწუხაროდ, მშვიდობიანმა პროტესტმა ღამის საათებში შეიძინა ძალადობრივი ვანდალური სახე და სახეზე გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი.

მიუხედავად სიტუაციის ესკალაციისა, პოზიტიურად და წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს პოლიციის მხრიდან აქციის დაშლისას პროპორციული ძალის გამოყენება.
არსებითად მნიშვნელოვანია დაცული იქნეს დაკავებულთა უფლებები, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებები იყოს მართლზომიერი, ჩადენილი დანაშაულის საპირწონე, არავის არ უნდა წაერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება.

11-12 მარტის ბათუმის აქციის საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის 15 ივნისის მდგომარეობით, სისხლის სამართლის კოლეგიაში განხილვაშია 4 სისხლის სამართლის საქმე 21 პირის მიმართ, რომელთაგან 2 არასრულწლოვანია. სამართალდამცველებმა დაახლოებით 79 პირი მისცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში და სასამართლომ ამ საქმეზე მოწმეების ჩვენებების მოსმენა დაიწყო.

7. 20 მარტს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე, უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძე, ნინო ჩხეტია, დავით თედორაძე, ნუგზარ სურმანიძე, ირაკლი ჭეიშვილი, გიორგი რომანაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი და გიორგი მანველიძე) ერთად, ორმხრივი ინიციატივის საფუძველზე, სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისში, 11 მარტის აქციის მონაწილე დაკავებულთა ოჯახის წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე მისულთა ნაწილი დეპუტატებს დაკავებულთა უაპელაციოდ გათავისუფლებას, ნაწილი აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გირაოთი შეცვლის შუამდგომლობას ითხოვდა, ასევე ზოგიერთის აზრით უფრო მკაცრად ვანდალიზმის ორგანიზატორები უნდა დასჯილიყვნენ, ზოგსაც არ სჯეროდა მისი შვილის ასეთ ვანდალიზმში შესაძლო მონაწილეობა, თუმცა აცხადებდნენ, რომ ფაქტებით დარწმუნების შემთხვევაში პრეტენზიები აღარ ექნებოდათ.

შეხვედრაზე ცოტნე ანანიძემ აღნიშნა, რომ გასაგებია მშობლების დამოკიდებულება, იმ ადამიანებისა, ვინაც ყველაზე მეტად იმყოფებიან ემოციური ფონის ქვეშ, თუმცა მთავარია, რომ აღნიშნულ სამართლებრივ პროცესს არ ახლავს პოლიტიკური მოტივაცია, პოლიტიკური დევნა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი წარმოადგენს ჰუმანურ ხელისუფლებას, მაგრამ კანონი არის კანონი, ბუნებრივია იგი აღსრულდება, მაგრამ უნდა აღსრულდეს სამართლიანად.

დეპუტატებმა შეხვედრის მონაწილე მოქალაქეებს განუცხადეს, რომ არცერთ დაკავებულზე არ მოხდება არასათანადო, არაჰუმანური მოპყრობა.

აქვე უნადა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის რეგიონული ოფისის ინფორმაციით ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი წესით ოთხმა დაკავებულმა მიმართა მათ, დაკავებისას პოლიციელების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, რაზედაც მიმდინარეობს მოკვლევა.

8. 25-26 მარტს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საპარლამენტო დებატების ტურნირში მიწვეული მსაჯის სტატუსით მონაწილეობდა.

აღნიშნული ტურნირის მიზანი ახალგაზრდებს შორის დებატების კულტურის დანერგვა - მათი განათლების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება; მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თემების ირგვლივ, საჯარო დისკუსიების ორგანიზების უნარების გაღრმავება, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციაა, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობისა და თანამონაწილეობის პრინციპზე.

დებატებში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა“ და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 11 გუნდით იყო წარმოდგენილი.

9. 11 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე უმაღლეს საბჭოში საქართველოში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს რაიან კოენიგს შეხვდა.

შეხვედრაზე ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი დაინტერესდა რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობით, ბათუმში 11-12 მარტს, პოლიციის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე და შემდეგ განვითარებული მოვლენებით, რაზედაც კომისიის თავმჯდომარემ თავისი მოსაზრებები გაუზიარა.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა საინტერესო შეხვედრისა და ამერიკის კუთხეში ხშირი სტუმრობისთვის, ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის, ცოტნე ანანიძეს მადლობა გადაუხადა.

10. 19 აპრილს, კომისიის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ და კომისიის წევრმა ლადო მგალობლიშვილმა, ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. წაბლანაში 28 წლის წინ მეწყრის შედეგად სტიქიური უბედურებით დაღუპულთა ხსოვნას მიაგო პატივი საქართველოს პრემიერ მინისტრთან და აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად.

ადგილზე კომისიის წევრები გაესაუბრნენ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის წევრებს, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც ტრაგედიის შედეგად 11 ოჯახის წევრი დაკარგა. პრემიერმა მათ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დაჰპირდა და განაცხადა, რომ უკვე გამოყოფილია შესაბამისი დაფინანსება, არსებობს ინვესტორი კომპანია, რომელიც „აჭარის წყალთან“ ერთად აკეთებს იმ საცხოვრებელს, სადაც ტრაგედიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილები მიიღებენ თავშესაფარს, მუდმივ საცხოვრებელს.

იმ ადგილზე სადაც დაღუპულები ტრაგედიამდე ცხოვრობდნენ საპატიო მემორიალი დგას, მათი ოჯახის წევრები მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას ითხოვენ, რაზედაც მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის მუნიციპალიტეტთან.

11. 26 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძესთან ერთად ფონდ „მემორიალის“ აჭარის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებმაც კანონმდებლებს ფონდის საქმინობაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

ფონდი „მემორიალის“ თაოსნობით, საქართველოში 22 ივლისი გამოცხადდა რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ, გარდა ამისა, ფონდის წარმომადგენლებმა დაიწყეს და საქართველოს მასშტაბით არაერთ რეგიონში, მათ შორის აჭარაშიც, მოიძიეს კომუნისტური რეჟიმის რეპრესიების შედეგად დახვრეტილთა საიდუმლო სამარხები, მოამზადეს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა მიზანიც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეების სოციალური დაცვაა.

შეხვედრაზე საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებმა სამართლებრივ, საკანონმდებლო და პოლიტიკური კუთხით ფონდთან თანამშრომლობაც განიხილეს.

12. 28 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომისიის სხვა წევრები მონაწილეობდნენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, მონიტორინგის ანგარიშის წარდგენაზე, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელდა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება სხვადასხვა მიმართულებით, სისტემური რეფორმების გატარებას ითვალისწინებს. ოთხი ძირითადი თემა იყო - შრომითი უფლებები, საარჩევნო სისტემა, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც NIMD-ისა და ფონდი “ღია საზოგადოება საქართველოს” მიერ ორგანიზებული შეხვედრის დროს განიხილეს.

მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების მექანიზმის არაეფექტურობა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანისა და მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა, პრობლემად რჩება ჰაერის დაბინძურების ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის დამტკიცება - ყველა ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გარემოზე ზემოქმედება, უნდა გადიოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს.

საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები 2029 წლისთვის უნდა შეასრულოს.

13. 1 ივნისს, კომისიის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აჭარის რეგიონული წარმომადგენლის მოწვევით მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში: „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში - დღეს არსებული რეალობა და გამოწვევები“.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ბავშვების მიმართ ძალადობა და უკიდურესი სიღარიბე, რომლის დროსაც დისკუსია გაიმართა საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა ზრუნვის, ბავშვთა უკანონო შრომის საკითხებზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე. აქცენტები გაკეთდა აჭარაში თვითნებურად დაკავებულ

ობიექტებზე, განსაკუთრებით ე.წ. „მუყაოს ქალაქში“ არსებულ მდგომარეობაზე, იქ მცხოვრებ ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

შეხვედრისას ცოტნე ანანიძემ აღნიშნა, რომ იმ პრობლემების უგულებელყოფა, რომელიც ქვეყანაში არსებობს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, არასერიოზული იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა იმდენად დიდი და კომპლექსური საკითხია, რომ რაიმე ერთი კონკრეტული ღონისძიებით რთულია გადაწყვეტა. სახელმწიფოსთვის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიისთვის, ცხადია, ბავშვთა უფლებები პრიორიტეტულია, თუმცა საკმარისი სახსრები არ არის, რათა მოკლე დროში იქნას დაძლეული ეს გამოწვევები.

კომისია მუშაობს ამ მიმართულებით, ჩართულია ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეალიზების, რეფერირების პროცესებში.

ანგარიშის პარალელურად, ინკლუზიური სწავლების ცენტრის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა შედგა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, აჭარის მთავრობის, რესურს-ცენტრების, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

14. 7 ივნისს, კომისიის თავმჯდომარის ცოტნე ანანიძის ინიციატივით ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე მიგრაციის კვლევის პროექტის ფარგლებში, უმაღლეს საბჭოში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიგრაციის პროექტის კოორდინატორ თეონა მაჭარაშვილსა და ამავე პროექტის მკვლევარ - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის სკოლის ლექტორ გიორგი გობრონიძესთან.

პროექტის წარმომადგენელთა განცხადებით, აქტიური კვლევისთვის - აჭარა, როგორც სპეციფიკური რეგიონი სახელმწიფო საზღვართან სიახლოვის, რელიგიური მრავალფეროვნების, ეკომიგრაციისა და რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა.
შეხვედრაზე, რომლის მიზანიც საკითხის შესახებ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების მოსაზრებები, ინიციტივები და სტრატეგიის გაცნობა იყო, საუბარი შეეხო მიგრაციის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს.
მკვლევარების ინფორმაციით მზადდება ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევებზე დაფუძნებული ანალიტიკური დოკუმენტი, რათა ხელისუფლების მხრიდან სწორად დაიგეგმოს გასატარებელი ღონისძიებები. დოკუმენტი სახელმძღვანელოდ მიეწოდება როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ასევე საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებს.
შესაბამისი კვლევები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის პანკისშიც ჩატარდა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს წევრები ილია ვერძაძე, ნინო ჩხეტია, ვლადიმერ მგალობლიშვილი და ვახტანგ წულაძე.

15. 13 ივნისს, კომისიის წევრები ილია ვერძაძე და ნუგზარ სურმანიძე (სხდომის თავმჯდომარე) მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ ანგარიშის განხილვაში.

აჭარაში მზარდი მაჩვენებელია მოქალაქეთა დასაქმების დინამიკის თვალსაზრისით, 5 თვის მონაცემებით, სააგენტოს მეშვეობით რეგიონში დასაქმდა 568 ადამიანი, მათ შორის 90 % გრძელვადიან სამუშაოზე. წარმოდგენილი ანგარიშში კომისიისთვის განსაკუთრებით ნიშანდობრივი იყო ის სიახლე, რომლითაც უკვე შშმ პირებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება დასაქმების პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს მათთვის გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენას და საკუთარ შესაძლებლობებზე მორგებული სამუშაო ადგილის პოვნას, შესაბამისად, შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ მოახდინა რატიფიკაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა (რომელიც 3 წლის წინ შევიდა ძალაში), რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ შშმ პირების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა და შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების

ტექნიკური რეგლამენტი (შშმ პირების გარემო პირობებთან ადაპტაცია და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობისთვის) დაამტკიცა, ამ დრომდე პრობლემად რჩება ქვეყანაში შშმ პირთა მიმართებით არსებული კანონებისა და საერთაშორისო აქტების აღსრულება, მათი პრაქტიკაში გატარება და იმპლემენტაცია.

შესაბამისად, კომისიის მხრიდან მხარდაჭერილი იქნება 2018 წლის აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამირებისა და დამტკიცების პროცესში ყველა ის პროექტი, რომელიც შშმ პირების, შშმ პირი ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს (შშმ პირების ცნობიერების ამაღლების, სერვისების ხელმისაწვდომობის და ინდივიდუალური მობილურობის, აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლების, განათლების, ჯანდაცვის, აბილიტაცია და რეაბილიტაციის, შრომისა და დასაქმების, სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად), რაც თავის მხრივ მოემსახურება კანონის აღსრულებისა და იმპლემენტაციის პროცესს.

16. 19 ივნისს, კომისიის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ამოქმედების ხელშეწყობისთვის უნისეფის სამუშაო შეხვედრაში მეორედ მიიღო მონაწილეობა, რომელიც „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ევროკავშირისა და გაეროს საერთო პროექტის ფარგლებში ბათუმის მუნიციპალიტეტში გაიმართა.

შეხვედრაზე ისაუბრეს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე, სხვადასხვა პასუხისმგებელი სტრუქტურის მიერ კონკრეტულ ღონისძიებებზე, ვალდებულებათა გადანაწილებაზე და კოორდინაციის აუცილებლობაზე.

2013 წლის კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 9%-ს მიაჩნდა რომ ბავშვთა ძალადობის შემთხვევაში უნდა მიემართათ სოციალური მუშაკისთვის, თელავში და ზუგდიდში 24%-მდე გაიზარდა ნიშნული, ჩავრთავ პოლიციას - უპასუხა 24%-მა, დირექტორებისა და მასწავლებლების უმრავლესობა - 60% კი მიიჩნევს, რომ უნდა ჩართოს მშობელი.

დაბალი მომართვიანობის გამო, პრობლემას წარმოადგენს თავად ძალადობის ფაქტის გამოვლენა, ამ თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის უბნის წარმომადგენელი სამსახურეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩაერთვება ოჯახში ძალადობის გამოვლენის კუთხით, ხოლო სოციალური მუშაკი მოახდენს შემდგომ რეაგირებას.

2010 წელს, პრობლემის აღმოსაფხვრელად, სამწუხაროდ, სახელმწიფომ არა ოჯახის მხარდამჭერი, არამედ დამსჯელი პოლიტიკა გაატარა - აღნიშნეს დარგის ექსპერტებმა.

ცოტნე ანანიძემ ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ეფექტურობის თვალსაზრისით, მედია მაუწყებლის უმნიშვნელოვანეს როლზე გაამახვილა ყურადღება, რაც აუცილებელ საშუალებად განიხილა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, ძალადობის წინააღმდეგ სოციალური რეკლამებისა და სპეციალურ გადაცემებში ბავშვის აღზრდის მართებულ ფორმებზე გაშუქებით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სოციალური მომსახურების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის პროკურატურის, აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლები, სასულიერო და სხვა დაინტერესებული პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისია რეაგირებას ახდენს ბავშვთა უფლებების დარღვევაზე უშუალოდ მოქალაქეთა მომართვიანობისას, ანონიმური თუ სამაუწყებლო საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ჩართულია და თანამშრომლობს ბავშვთა რეფერირების შესახებ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ყველა სახელმწიფო სტრუქტურასთან.

17. 21 ივნისს, 11-12 მარტს ბათუმში პოლიციის წინააღმდეგ აქციაში მონაწილე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 18 პირის ოჯახის წევრმა აქცია გამართა სასამართლოსთან, შემდეგ მსვლელობა მოაწყვეს ე.წ. „პლაზას“ მიმდებარე ტერიტორიაზე - პრემიერ მინისტრის, აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიმართ დახმარების თხოვნით. კერძოდ, აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ გაცნობიერებული აქვთ ბრალდებულების არაკანონიერი ქმედებები, თუმცა არ

ეთანხმებიან პროკურატურას ბრალდების ნაწილში და თავისუფლების აღკვეთას, 2-3 წლით პირობითი სასჯელის სახით საპროცესო შეთანხების გაფორმებით ითხოვდნენ.

აქციის მონაწილეებს გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისია ყურადღებით აკვირდება მიმდინარე პროცესებს, რათა არ იქნას დარღვეული არცერთი ბრალდებულის უფლება.

18. 3 ივლისს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და წევრებთან, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აჭარის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელთან ერთად 11-12 მარტის მოვლენების დროს დაკავებულთა ოჯახის წევრებსა და მათ ადვოკატებს შეხვდნენ.

შეხვედრისას, დაკავებულთა ახლობლებმა საქმის გადახედვის მიზნით, დეპუტატებს სამართალდამცავი ორგანოების წინაშე შუამდგომლობა სთხოვეს. თავის მხრივ, კანონმდებლები გაესაუბრნენ ადვოკატებს ბრალეულობის შესახებ, აქვე შეხვედრის მონაწილეებს განუმარტეს, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ჩარევის უფლება კანონით არა აქვთ და კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდნენ.

უმაღლესი საბჭოს წევრები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას შესაბამის უწყებებთან, საბოლოოდ, „ბათუმის აქციის საქმეზე“ მასობრივ ძალადობაში ბრალდებულ დაახლოებით 18 პირს პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

19. 6 ივლისს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ბათუმის მესამე საპყრობილეში პატიმართა პრობლემებს გაეცნო, სადაც 6 საათი დაჰყო, 15 საკანი დაათვალიერა და 30 პატიმარი მოინახულა.

პატიმრებმა დეპუტატს დროული სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაში, გარკვეული ნივთების საპყრობილეში დაშვებასა და რიგი სხვა საკითხების მოგვარებაში სთხოვეს დახმარება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დაათვალიერა სასჯელაღსრულების დაწესებულების ინფრასტრუქტურა.

ცოტნე ანანიძის შეფასებით, მესამე საპყრობილეში ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი, დაწესებულებაში ადგილი აღარ აქვს პატიმრების მიმართ არაჰუმანურ მოპყრობას, ძალადობასა და სხვა მსგავს ფაქტებს.

საპატიმროში მყოფთა მდგომარეობის ადგილზე გაცნობისა და პრობლემების დროული მოგვარების მიზნით რიგით მეორე შეხვედრა 18 აგვისტოს შედგა, რომლის დროსაც კომისიის თავმჯდომარეს დაგეგმილი ჰქონდა 7 პატიმართან შეხვედრა, თუმცა სხვა პატიმრების სურვილის გათვალისწინებით, ცოტნე ანანიძე 7 საათის განმავლობაში 16 პატიმარს გაესაუბრა.

მე-3 პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრისას, კომისიის თავმჯდომარე ასევე, დაინტერესდა დაწესებულებაში პირველი ვიზიტის დროს წამოჭრილი საკითხების შესრულებით, განსაკუთრებით სამედიცინო მომსახურების ნაწილში დაგროვილი კითხვების ირგვლივ, რაზედაც ადმინისტრაციის ინფორმაციით რამდენიმე მსჯავრდებულს უკვე გაუკეთდა ოპერაცია და გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

ცოტნე ანანიძემ თავად მოინახულა 3 პატიმარი, რომელთაც ოპერაცია ჩაუტარდათ, თუმცა დღემდე არიან პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ ყურადღებას ჯანდაცვის უზრუნველყოფის, დროული სამედიცინო სერვისის მიწოდების თვალსაზრისით, ამ მიმართულებით უახლოს დღეებში კომისიის თავმჯდომარე გეგმავს შეხვედრას ციხის სამედიცინო პერსონალთან და შესაბამის უწყებებთან დიალოგს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ცნობის დღიდან კომისიაში პატიმართა არაერთი განცხადება იყო შესწავლილი, განხილული და რეაგირებული, ხოლო პატიმრებთან პირადად შეხვედრისა და მათი პრობლემების ადგილზე გაცნობის უზრუნველსაყოფად, კომისიის თავმჯდომარემ კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურების დაცვით, ორჯერ მიმართა შესაბამის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლების მინიჭებისათვის, ხოლო „პატიმრობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და

პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის N275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარისთვის ამ უფლების მიღებისთანავე, ცოტნე ანანიძემ პატიმრები ორჯერ მოინახულა - 2017 წლის 6 ივლისსა და 18 აგვისტოს.

კომისიამ მოქალაქეთა, მსჯავრდებულთა და მათი ოჯახის წევრების მომართვიანობის საფუძველზე შუამდგომლობა გაუწია 16 მოქალაქეს, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე მათი შეწყალების, ნასამართლეობის მოხსნის თხოვნით, ასევე პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ - შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროს ადგილობრივ საბჭოებთან.

20. 22 აგვისტოს, კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომისიის წევრები ილია ვერძაძე და პეტრე ზამბახიძე მონაწილეობდნენ - მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG)-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში : „ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესება ცენტრსა და რეგიონებს შორის“ ღონისძიებაში, რომელიც ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ცქიტიშვილი და ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს უფროსი ნატალია ჯალიაშვილი უძღვებოდნენ.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ, ასევე დოკუმენტით გათვალისწინებულ იმ საკითხებზე, რომლებიც წინასწარი გამოკითხვით პრიორიტეტული აღმოჩნდა აჭარაში - გენდერული თანასწორობა, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების და სამართლიანი სასამართლოს უფლებები.

ასევე, მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის პრიორიტეტებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე და მასთან არსებულ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებით ქვეყნისთვის მოტანილ სიკეთეებზე.

მოხსენებათა დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც ცოტნე ანანიძემ ყურადღება გაამახვილა სქესთა შორის თანასწორობის მიღწევის ნაწილში, ქალთა პოლიტიკურად გაძლიერების კუთხით, სავალდებულო კვოტირებაზე წამოჭრილი დისკურსის მხოლოდ საპარლამენტო ან უმაღლესი საბჭოს დონეზე განხილვაზე, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე მსგავსი რეგულირების შემოღებას რაიონებში მოსახლეობის მზაობის არარსებობის გამო ნაადრევად მიიჩნევს, რასაც დარბაზში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ასევე, კითხვები დაისვა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA - ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს) ნაკისრი ვალდებულებებით თუ რა შეღავათები გავრცელდა აგრარული სფეროს განვითარებისთვის, კერძოდ, წარმოებული პროდუქციის ექსპორტირებისათვის, რაზედაც მოხსენებლებმა განმარტეს, რომ უკვე რამდენიმე ცხოველური წარმოშობის პროდუქტზე - შავი ზღვის თევზის და თაფლის, ასევე კენკროვანი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი დაიშვა და შესაბამისი სერტიფიკატის მოსაპოვებლად ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, თუ სხვა სახის სერვისების გასაწევად სამინისტროში უკვე ფუნქციონირებს შესაბამისი სამსახური.

21. 24 აგვისტოს, კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა 2017 წლის 22 აგვისტოს, სამაუწყებლო კომპანია „ტვ 25“-ში გასულ გადაცემა „საზოგადოებრივი პოზიცია“- ში (22:00 სთ.) გაჟღერებული ინფორმაციით იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „რესპუბლიკური

ფსიქონევროლოგიური კლინიკური საავადმყოფოს“ პაციენტებმა ბოლო არჩევნებში საარჩევნო ხმის უფლებით ვერ ისარგებლეს.

საქართველოს კანონმდებლობით - კონსტიტუციით, ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-3 მუხლის ა.გ) პუნქტის, ასევე „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონების შესაბამისად, ის პაციენტები, რომლებიც განთავსებულნი არინ სტაციონალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფო დაწესებულებაში და არ არინ მხარდაჭერის მიმღები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ კონსტიტუციური უფლებით, რომელითაც საქართველოს სხვა მოქალაქეები, კერძოდ ხმის მიცემის უფლებით.

შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ მათი უფლებები უნდა იყოს დაცული, ხოლო საჭიროებები მოსმენილი და გაზიარებული არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მიერ.

კომისიამ დაიწყო საკითხის მოკვლევა და შესწავლა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე რეგიონში ქალთა უფლებების დაცვის და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, მონაწილებდნენ თემის ირგვლივ გამართულ არაერთ ღონისძიებაში, ასევე კომისიის წევრები მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.